„ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის“ (22-27 სექტემბერი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატმა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ პარტნიორობით „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის“ პროგრამის ფარგლებში განახორციელა პროექტი, რომლის მიზანი იყო:

- ერთი კვირის განმავლობაში ზუგდიდსა და მის შემოგარენში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვა;
- მოზარდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, გუნდური უნარ - ჩვევების გამომუშავება, ადამინის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება
- მოხალისეობისა და აქტიური მოქალაქეობის წახალისება, კრეატიული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;

კვირეული გაიმართა ზუგდიდსა და თბილისში. პროგრამის პარალელურად მოეწყო კულტურულ -შემეცნებითი ტურები.

პროექტის დასრულების შემდეგ შემაჯამებელი შეხვედრები ჩატარდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, სსიპ ,,საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრში“. აფხაზეთის მთავრობაში პროექტის მონაწილე ახალგაზრდებს შეხვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი ვახტანგ ყოლბაია, რომელმაც დადებითად შეაფასა ჩატარებული სამუშაო და აღნიშნა, რომ მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას პროცესებში, რომელიც ემსახურება ნდობის აღდგენასა და შერიგებას. ღონისძიებაზე მონაწილეებს სიტყვით მიმართა ასევე სსიპ ,,ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის „ დირექტორმა ბატონმა გიგა გაბელაიამ და ამავე ცენტრის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ბელა სარიამ.